ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1286336

ნომერი: AR1218204

თარიღი : 10.05.2014

გაცემის თარიღი : 23.05.2014

გაცნობის თარიღი : 24.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა იაკობ გოგებაშვილი , N 46ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჩიტაძე პ/ნ 01018000590
- თბილისი ნ.ბაშალეიშვილის ქ. N 3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, (სექტორი–მთაწმინდა), ი. გოგებაშვილის ქ. N46ბ–ში, თანასაკუთრების კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული ავტოსადგომში ჩასასვლელი პანდუსის თავზე გადახურვის მოწყობის ნებართვას.
თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.
''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N882014055433 - 04/02/2014 წ. საკადასტრო გეგმა N01.15.02.051.009; ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ბრძანება Nბ–12/13316823–16, 10.01.2014; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, ი. გოგებაშვილის ქ. N46ბ–ში, თანასაკუთრების კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული ავტოსადგომში ჩასასვლელი პანდუსის თავზე გადახურვის მოწყობის შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდკონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.
ამასთან გაცნობებთ, რომ სამუშაოების დაწყებამდე აღნიშნული უნდა შეთანხმდეს ფართის თანამესაკუთრეებთან.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge